2014 წლის ფისკალური წლისათვის „გრასრუტებისა და ადამიანთა უსაფრთხოების პროექტების“ ფარგლებში, საქართველოს მხარდასაჭერად დაფინანსებული ორი ერთობლივი პროექტის ხელმოწერის ცერემონია

"ქალაქ თბილისის, ქალაქ გორისა და შავშვების იძულებით გადაადგილებულ პირთა დასახლების სოციალური დახმარების სამი ცენტრის კერამიკული აღჭურვილობით უზრუნველყოფის პროექტი"

"მარნეულის რაიონის სოფელ კაპანახჩის საბავშვო ბაღის ახალი აღჭურვილობით უზრუნველყოფის პროექტი"

2014 წლის 28 ოქტომბერს, ზემოხსენებულ პირველ კონტრაქტს ხელი მოაწერა იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბატონმა ტოშიო კაიტანიმ და საქართველოში ავადმყოფთა მომსახურე სასულიერო პირთა ორდენის (კამილიელები) ფილიალის წარმომადგენელმა, ხოლო მეორე პროექტზე კი მარნეულის ქალთა დემოკრატიული საზოგადოების წარმომადგენელმა. აღნიშნული პროექტები თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლონეთის განვითარების თანადგომის პროგრამის ფარგლებში. ზემოაღნიშნულ ცერემონიას, ასევე, დაესწრო პოლონეთის რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ბატონი ანჟეი ჩიეშკოვსკი.

<u>პროექტის ადგილმდებარეობა</u>